



ეროპ ვუიარი
დღის წესრიგი

ერიკ ვუიარი
დღის წესრიგი
მოთხრობა

Éric Vuillard
L'ORDRE DU JOUR
Récit

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

Cet ouvrage a bénéficié du soutien des Programmes d'aide à la publication de l'Institut Français.

წიგნი გამოიცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

© Actes Sud, 2017

Published by arrangement with Lester Literary Agency
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-641-4

www.diogene.ge

ლორან ევრარს

სარჩევი

საიდუმლო შეკრება.....	9
ნიღბები.....	14
თავაზიანობის ვიზიტი.....	20
დაშინება.....	24
ბერგჰოფის შეხვედრა.....	27
როგორ არ მივიღოთ გადაწყვეტილება.....	38
უიმედო მცდელობა.....	44
ტელეფონთან გატარებული დღე.....	48
გამოსათხოვარი სადილი დაუნინგ-სტრიტზე.....	54
ბლიცკრიგი.....	62
ტანკების საცობი.....	67
სატელეფონო მოსმენა.....	72
აქსესუარების საცავი.....	77
ბედნიერების მელოდია.....	78
მკვდრები.....	81
კი, მაგრამ ეს ხალხი ვინ არის?.....	91

საიდუმლო შეკრება

მზე ცივი მნათობია. გული ყინულის ეკლები აქვს, სინათლე – უღმობელი. თებერვალში ხეები მკვდარია, მდინარე კი გაქვავებული, თითქოს წყარო წყალს ვეღარ ანთხევს, ზღვა კი ვეღარ ყლაპავს. დრო იყინება. დილით არც ხმაური ისმის, არც ჩიტების ჭიკჭიკი, არაფერი. მერე ერთი ავტომობილი ჩაივლის, მეორე მიჰყვება, უეცრად უხილავი სილუეტების ნაბიჯების ხმა გაისმის. სამი ზარი დაირეკა, მაგრამ ფარდა ჯერ არ აწეულა.

ორშაბათია, ქალაქი ნისლის საბურველქვეშ ამოძრავდა. ადამიანები ჩვეულებისამებრ მიდიან სამსახურში, სხდებიან ტრამვაიში, ავტობუსში, გზას ავტობუსის მეორე სართულისაკენ იკვალავენ და სიცივეში ოცნებებს ეძლევიან. მაგრამ იმ წლის 20 თებერვალი სხვა დღეებს არ ჰგავს. მერე რა, თუ ხალხის უმრავლესობამ დილა გულმოდგინე, თუმცა ამაო შრომაში გაატარა: მათი ჩვეული მოძრაობების აჩქარებული პანტომიმაც ჩვენი არსებობის ეპოპეას ასახავს. დღემ ასე მშვიდად, ნორმალურად ჩაიარა. სანამ ადამიანები სახლსა და ქარხანას, ბაზარსა და სარეცხის გასაფენ ეზოს შორის, საღამოს კი სამსახურიდან დუქნამდე მიმოდინდნენ, ბო-

ლოს კი შინ ბრუნდებოდნენ, ღირსეული სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრებისგან კარგა მოშორებით, შპრეეს სანაპიროზე, სასახლის წინ ბატონებს მონინებით გაუღეს მანქანების კარები. ისინი ოთხკარიანი შავი მანქანებიდან გადმოვიდნენ და ერთიმეორის მიყოლებით შეაბიჯეს ქვიშაქვის მძიმე სვეტებქვეშ.

ოცდაოთხნი იყვნენ. სანაპიროს მკვდარ ხეებთან ჩაიარა ოცდაოთხმა შავმა, ყავისფერმა და კონიაკისფერმა პალტომ, ოცდაოთხმა კოსტიუმმა და ამავე რაოდენობის ფართოქოხიანმა შარვალმა. ასამბლეის თავმჯდომარის სასახლის დიდ ვესტიბიულში ოცდაოთხი ჩრდილი შევიდა; მალე არც ეს ასამბლეა იქნება, არც მისი თავმჯდომარე, რამდენიმე წელიწადში პარლამენტიც მხრჩოლავ ნანგრევებად იქცევა.

ახლა კი ბატონებმა ფეტრის ოცდაოთხი ქუდი მოიხადეს და შემელოტებული თუ შევერცხლილი თავები გამოაჩინეს. სცენაზე ასვლამდე დარბაისლურად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. პატივცემული პატრიციუსები დიდ ვესტიბიულში იდგნენ და ღირსებით აღვსილნი ხუმრობდნენ; Garden-party-ის ოდნავ გადაპრანჭული დასაწყისი გეგონებოდათ.

ოცდაოთხი სილუეტი მონდომებით აუყვა კიბის საფეხურებს, სათითაოდ ჩაყლაპა კიბის ყველა მონაკვეთი. დროდადრო ბებერი გულების დასასვენებლად ჩერდებოდნენ, სპილენძის მოაჯირს ჩაბლაუჭებულნი და თვალბმილულულნი, არც ბალუსტრადებს ამჩნევდნენ, არც თაღებს, თითქოს ჩამოცვენილი ფოთლების გროვას უქცევდნენ გვერდს. ხელმარჯვნივ პატარა შესასვლელში შეუძღვნი. აქ, ჭადრაკულ იატაკზე, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს და ოცდაათიოდე საფეხური აიარეს შემდეგ სართულამდე. არ ვიცი, ჯგუფს ვინ მიუძღოდა ან ბოლოში ვინ მიჰყვებოდა, არც აქვს მნიშვნელობა, ოცდაოთხივემ ზუსტად ერთი და იგივე გააკეთა, ერთი გზა გაიარა, კიბის ბაქანთან მარჯვნივ მოუხვია და ბოლოს და ბოლოს, მარცხნივ ფართოდ გაღებული კარიდან მისაღებ ოთახში შევიდა.

ამბობენ, ლიტერატურა ყველაფრის ნებას გვაძლევსო. ასე რომ, შემეძლო, მამაკაცები უსასრულოდ მეტარებინა პენროუზის კიბეზე, ვერასოდეს ავიდოდნენ ან ჩავიდოდნენ სადმე, მუდმივად ორივე მიმართულებით ივლიდნენ. სინამდვილეში დაახლოებით ასეთ ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე ნიგნები. სიტყვების დრო – კომპაქტური, თხევადი, შეუღწევადი, სქელი, ბლანტი, განელი-ლი თუ მარცვლოვანი – მოძრაობებს აქვავებს და აშეშებს. ჩვენი პერსონაჟები სამუდამოდ სასახლეში რჩებიან, თითქოს იგი მოჯადოებული ციხე-კოშკი იყოს. შესასვლელშივე მეხდარტყმულებით ქვავდებიან და ადგილზე იყინებიან. კარები ერთდროულად ღია და დაკეტილია, ჩარჩოები – დაძველებული, მოგლეჯილი და შეღებილი. კიბის ბაქანი განათებულია, მაგრამ ცარიელი, ჭალი გაბრწყინებულია, მაგრამ ჩამქრალი. ერთდროულად ვართ ყველა დროში. ალბერტ ფეგლერმა, მაგალითად, კიბის პირველ ბაქნამდე აიარა და ოდნავ თავბრუდახვეულმა და ოფლში გახვითქულმა საყელოზე იტაცა ხელი. ოქროცურვილი ჭალით გაბრდღვიალებულ საფეხურზე ჟილეტი შეისწორა, ღილი შეიხსნა და გულისპირი მოიღელა. შეიძლება, მის გვერდით გუსტავ კრუპი შეჩერდა, ალბერტს თანაგრძნობის ნიშნად ორიოდ სიტყვა უთხრა, სიბერეზე რამე ღრმააზროვანი გამონათქვამი შეახსენა, მოკლედ, თანაუგრძნო. შემდეგ გუსტავმა გზა განაგრძო, ალბერტ ფეგლერი კი რამდენიმე წამით ადგილზე დარჩა და მარტო იდგა ჭაღქვეშ, რომელიც დიდი მოოქროვილი მცენარით გარშემორტყმულ განათებულ ვეებერთელა სფეროს გამოსახავდა.

ბოლოს პატარა მისაღებ ოთახში შევიდნენ. კარლ ფონ სიმენსის პირადი მდივანი ვოლფ-დიტრიხი აივანზე გამავალ შემინულ კართან შეყოვნდა და თვალი ჭირხლის თხელ ფენას გაუშტერა. წამით მოსწყდა ამა სოფლის მდაბალ ინტრიგებს და ოცნებებს მიეცა. დანარჩენები საუბრობდნენ და „მონტეკრისტოებს“ აფუილებდნენ, სიგარების კრემისფერ თუ მოყავისფრო შეფერილობებს ადარებდნენ, რბილ თუ მოცხარო გემოებს განიხილავდნენ, ყველანი ძა-

ლიან სქელი – ლამის ბატკნის ბარკლის ძვლისოდენა – სიგარების მოყვარულები აღმოჩნდნენ, თითებზე ოქროს თხელ ბეჭდებს უგულისყუროდ იტრიალებდნენ და ლამის ყყლეტდნენ, ფანჯარასთან მდგარი ვოლფ-დიტრიხი კი გაძარცვულ ტოტებსა და შპრეეს ტალებს შორის ლივლივებდა ფიქრებით.

მისგან რამდენიმე ნაბიჯში ვილჰელმ ფონ ოპელი თავის სქელ, მრგვალ სათვალეს ხან შუბლზე იწევდა, ხან ისევ ადგილზე აბრუნებდა და თაბაშირის ნატიფი ფიგურებით მორთული ჭერით ტკებოდა. მისმა ოჯახმა ჩვენამდე უხსოვარი დროიდან მოაღწია, ბრაუბახის სამრევლოს მცირე მინათმფლობელობით დაიწყო, ნელ-ნელა მიიმატა სავარგულები და ნაკვეთები, ჯერ მოსამართლეობას, მერე ბურგომისტრობას გამოჰკრა ხელი, სანამ დედის წიალიდან შობილმა ადამმა ზეინკლის ხელობის ყველა ხრიკი არ აითვისა, დიდებული საკერავი მანქანა არ შექმნა და საგვარეულოს გაბრწყინებას დაუდო არ დასაბამი. სინამდვილეში ადამს არაფერი გამოუგონია. უბრალოდ, ერთ მეწარმესთან იშოვა სამუშაო, ყველაფერს დააკვირდა, კარგად დაიმახსოვრა, შემდეგ კი ოდნავ გააუმჯობესა მოდელები. ცოლად შეირთო სოფი შელერი, რომელსაც დიდძალი მზითევი ჰქონდა და რომლის სახელიც პირველ საკერავ მანქანას უწოდა. საკერავ მანქანას სულ რამდენიმე წელი დასჭირდა თავის დასამკვიდრებლად, დროის მრუდთან შესაერთებლად და კაცობრიობის ყოველდღიურობაში გასათქვეფად. მისი ნამდვილი გამომგონებლები მეტისმეტად ადრე დაიბადნენ. საკერავი მანქანების წარმატებით დანერგვის შემდეგ ადამ ოპელი ველოსიპედების წარმოებას შეუდგა. თუმცა ერთ ღამეს კარის ღრიჭოდან მასთან უცნაურმა ხმამ შეაღწია; გული გაუცივდა, გაეყინა. საკერავი მანქანის გამომგონებლები როდი სთხოვდნენ ჰონორარს, მუშები როდი ეხვეწებოდნენ მოგების წილს – ღმერთი მოითხოვდა თავისას. რაღა უნდა ექნა, სული დაუბრუნა.

თუმცა სანარმოები ადამიანებივით არ კვდებიან. ეს მისტიკური სხეულები არასოდეს ქრება. „ოპელის“ ფირმამ ველოსიპედების

გაყიდვა განაგრძო, მერე მანქანებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. დამფუძნებლის სიკვდილის დრომ რომ მოაწია, ფირმაში უკვე ათას ხუთასი ადამიანი მუშაობდა. კომპანიამ უბრალოდ ზრდა განაგრძო. სანარმო ადამიანია, რომლის მთელი სისხლი თავს მიეწოდება. ამას იურიდიულ პირს ეძახიან. მისი სიცოცხლე ჩვენსაზე გაცილებით ხანგრძლივია. ჰოდა, როცა 20 თებერვალს ვილჰელმი რაიხსტაგის თავმჯდომარის სასახლის პატარა მისაღებ ოთახში მედიტირებდა, კომპანია „ოპელი“ უკვე ხანდაზმული ქალბატონი გახლდათ. დღეს იგი დიდი იმპერიის მიერ გადაყლაპული მცირე იმპერიაა და ბებერი ადამის საკერავ მანქანებთან თითქმის აღარაფერი აკავშირებს. მერე რა, თუ კომპანია „ოპელი“ უმდიდრესი ხანდაზმული ქალბატონი გახლავთ, უკვე ისე დაბერდა, ველარავინ ამჩნევს და პეიზაჟის ნაწილი გახდა. ამჟამად „ოპელი“ ბევრად უფროსია, ვიდრე ბარე ორი სახელმწიფო – ლიბანზე უფროსია, თავად გერმანიაზეც უფროსი, აფრიკული სახელმწიფოების უმრავლესობაზე დიდია, უფრო ხნოვანია, ვიდრე ბუტანი, რომლის ღრუბლებში თავად ღმერთები ჩაკარგულან.

ნიღბები

შეგვიძლია, სასახლეში შესულ ოცდაოთხივე ბატონს რიგრიგობით მივუახლოვდეთ, მათ საყელოს, ჰალსტუხის კვანძს შევეხოთ, უღვაშების კვნიტას დავაკვირდეთ, კოსტიუმების ვეფხვისებრი ზოლებში ჩავიკარგოთ, ნაღვლიან თვალებში ჩავყვინთოთ და მათ სიღრმეში ჯერ ყვითელი არნიკას ყვავილი აღმოვაჩინოთ, მერე კი პატარა კარი ვიპოვოთ; თოკს მოვქაჩოთ, ზარი დავრეკოთ და გარდასულ დროში ვიმოგზაუროთ, სადაც დავინახავთ მანევრებს, წარმატებულ ქორწინებებს, საეჭვო ოპერაციებს – ამ ბატონების საგმირო საქმეების მოსაწყენ ჩამონათვალს.

20 თებერვლამდე ვილჰელმ ფონ ოპელს საბოლოოდ მოემორებინა ფრჩხილებში ჩაქვავებული მაზუთი, ველოსიპედი გვერდზე ჰქონდა გადადებული, საკერავი მანქანა – დაფინყებული და ამაყად ატარებდა წინსართ „ფონს“, რომელშიც მთელი მისი ოჯახური საგა ირეკლებოდა. სამოცდაორი წლის ფონ ოპელმა ჩაახველა და საათს დახედა. ტუჩებმოკუმულმა მოავლო თვალი დამსწრეებს. ჰილმარ შახტმა კარგად იმუშავა – ცოტა ხანში რაიხსბანკის დირექტორად და ეკონომიკის მინისტრად დანიშნავენ. მაგიდას უსხდნენ

გუსტავ კრუპი, ალბერტ ფეგლერი, გიუნტერ კვანდტი, ფრიდრიხ ფლიკი, ერნსტ ტენგელმანი, ფრიც შპრინგორუმი, აუგუსტ როსტერგი, ერნსტ ბრანდი, კარლ ბიურენი, გიუნტერ ჰოიბელი, გეორგ ფონ შნიცლერი, ჰუგო შტინეს უმცროსი, ედუარდ შულტე, ლუდვიგ ფონ ვინტერფელდი, ვოლფ-დიტრიხ ფონ ვიცლებენი, ვოლფგანგ როიტერი, აუგუსტ დინი, ერის ფიკლერი, ჰანს ფონ ლევენშტაინი ლევენშტაინიდან, ლუდვიგ გრაუერტი, კურტ შმიტი, აუგუსტ ფონ ფინკი და დოქტორი შტაინი. ეს მრეწველობისა და ფინანსების ნირვანაა. ახლა უკვე ჩუმად, ჭკვიანად სხედან, ოცნუთიანმა ლოდინმა დაქანცათ; სკამის სახელოურებიდან ადენილი სიგარების ბოლი თვალებს უწვავთ.

რამდენიმე ჩაფიქრებული ჩრდილი სარკესთან ჩერდება და ჰალსტუხის კვანძს ისწორებს; პატარა სალონში სტუმრები ნელ-ნელა შინაურდებიან. არქიტექტურაზე დაწერილი ოთხი წიგნიდან ერთ-ერთში პალადიო სალონს, მისაღებ ოთახს, ბუნდოვნად აღწერს ერთგვარ სცენად, სადაც ჩვენი არსებობის ვოდევილები თამაშდება. მის ცნობილ ვილა „გოდი-მალინვერნიში“ ჯერ ოლიმპის დარბაზი უნდა გაიაროთ, სადაც შიშველი ღმერთები ნანგრევებში განცხრომას ეძლევიან, მერე ვენერას დარბაზში მოხვდებით, საიდანაც ბავშვი და პაყი მიხატული კარიდან იპარებიან, ბოლოს კი ცენტრალურ სალონში აღმოჩნდებით, რომლის შესასვლელის თავზე მოგეგებებათ ჩარჩოში ჩასმული ლოცვის ბოლო ფრაზა: „არამედ გვისხენ ჩვენ ბოროტისაგან“. თუმცა ასამბლეის თავმჯდომარის სასახლეში, სადაც ჩვენი პატარა მიღება ტარდებოდა, ამ წარწერას ამოვად დაუნყებდით ძებნას – ის დღის წესრიგში არ იყო.

მაღალ ჭერქვეშ რამდენიმე ნუთმა ნელა ჩაიარა. დამსწრეებმა ერთმანეთს გაუღიმეს. ტყავის პორტფელები გახსნეს. შახტი თხელ სათვალეს დროდადრო ზევით სწევდა და ცხვირს ისრესდა, თან ტუჩებს ილოკავდა. სტუმრები ჩუმად ისხდნენ და კიბორჩხალისებრ პატარა თვალებს კარს არ აშორებდნენ. ცხვირის ორ დაცემინებას შორის გადაჩურჩულებას ასწრებდნენ. ცხვირსახოცებს შლიდნენ,

სიჩუმეს ცხვირის მოხოცვით არღვევდნენ, მერე წელში სწორდებოდნენ და მოთმინებით ელოდნენ კრების დაწყებას. კრებების სპეციალისტები გახლდნენ, ყველას ჰქონდა ადმინისტრაციული თუ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების გამოცდილება, ყველა მათგანი დამსაქმებელთა რომელიმე ასოციაციის წევრი იყო. აღარაფერს ვამბობთ ამ მკაცრი და მოსაწყენი პატრიარქატის პირქუშ ოჯახურ თავყრილობებზე.

წინ მჯდომი გუსტავ კრუპი აფორაჯებულ სახეზე ხელთათმანს ისვამს და სასოებით იჟღვინტება ცხვირსახოცში – გაციებულა. ასაკში შესულის წვრილმა ტუჩებმა უშნოდ ამოყირავებული ნახევარმთვარე გამოსახა. ნაღვლიანი და შემფოთებული ჩანს: თითებით ანგარიშიუცემლად ატრიალებს ოქროს მშვენიერ ბეჭედს. იმედებისა და გათვლების ჯანღშია გახვეული – ვინ იცის, ეგებ მისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ეს სიტყვებია, რომლებიც თითქოს დროთა განმავლობაში შეენივთა ერთმანეთს.

უეცრად კარის ჭრიალი და იატაკის ჭრაჭუნი ისმის, შემოსასვლელში ვიღაცები საუბრობენ. ოცდაოთხი ხვლიკი უკანა თათებზე დგება და წელში სწორდება. ჰიალმარ შახტი ნერწყვს ყლაპავს, გუსტავი მონოკლს ისწორებს. კარის იქიდან ჯერ ჩახშული ხმა, მერე კი სტვენა ისმის. ბოლოს, როგორც იქნა, ოთახში რაიხსტაგის მოღიმარი თავმჯდომარე შემოდის; ეს ჰერმან გერინგია. და ეს სულაც არ გვაოცებს, საბოლოო ჯამში საკმაოდ ბანალური, ჩვეულებრივი ამბავი გახლავთ. ბიზნესის სფეროში პარტიზანული ბრძოლები იშვიათობაა. პოლიტიკოსები და მრეწველები მიჩვეული არიან თანამშრომლობას.

გერინგმა მაგიდას შემოუარა, თითოეულს რამდენიმე სიტყვით მიესალმა და ფუნჩულა ხელი კეთილგანწყობით ჩამოართვა. მაგრამ რაიხსტაგის თავმჯდომარეს უბრალო მასპინძლობა არ აქვს დასახული მიზნად, რამდენიმე მისასალმებელ სიტყვას ამბობს და მომავალ – 5 მარტის – არჩევნებზე იწყებს ლაპარაკს. ოცდაოთხი

სფინქსი ყურადღებით უსმენს. „მიმდინარე საარჩევნო კამპანიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, – აცხადებს რაიხსტაგის თავმჯდომარე. – რეჟიმის არასტაბილურობას ბოლო უნდა მოელოს; ეკონომიკურ საქმიანობას სიმშვიდე და სიმტკიცე სჭირდება“. ოცდაოთხი ბატონი მონივნებით უკრავს კვერს. ჭალის ელექტროსანთლები ციმციმებს, ჭერზე მიხატული ყვითელი მზე უწინდელზე მეტად ბრწყინავს. „თუ ნაცისტური პარტია უმრავლესობას მოიპოვებს, – ამატებს გერინგი, – ეს მომდევნო ათი წლის უკანასკნელი არჩევნები იქნება“. მერე კი სიცილით აყოლებს, ეგებ ასი წლისაცო.

დამსწრე საზოგადოებას მონონების შეძახილი აღმოხდა. ამ დროს კარის გაღების ხმა გაისმა და ოთახში ახალი კანცლერი შემოვიდა. ვისაც არასოდეს ენახა, ცნობისნადილი კლავდა. ჰიტლერი მოლიმარი იყო, სასიამოვნო, თავაზიანიც კი, იმაზე ბევრად თავაზიანი, ვიდრე წარმოედგინათ. თითოეულს უთხრა სამადლობელი სიტყვები და ენერგიულად ჩამოართვა ხელი. მისალმების შემდეგ ყველა თავის მოხერხებულ სავარძელს დაუბრუნდა. კრუპი ჰიტლერთან ახლოს იჯდა და მოცუცქნულ უღვაშს თითებით ნერვიულად იწინქნიდა; მის შემდეგ მჯდომმა „IG Farben“-ის ორმა მმართველმა, აგრეთვე ფონ ფინკმა, კვანდტმა და კიდევ რამდენიმე სტუმარმა ჭკვიანური გამომეტყველებით გადაიდო ფეხი ფეხზე. ყრუ ჩახველება, სანერი კალმის თავსახურის გატკაცუნება გაისმა და სიჩუმე ჩამოვარდა.

მოუსმინეს. გამოსვლის არსი ასეთი იყო: სუსტ რეჟიმს ბოლო უნდა მოღებოდა, კომუნისტური მუქარა თავიდან უნდა აეცილებინათ, პროფკავშირები გაეუქმებინათ და თითოეული ხელმძღვანელი საკუთარი კომპანიის ფიურერი უნდა გამხდარიყო. სიტყვა ნახევარ საათს გაგრძელდა. როდესაც ჰიტლერმა ლაპარაკი დაასრულა, გუსტავი ადგა, ნაბიჯი წინ გადადგა და პოლიტიკური მდგომარეობის ნათლად ახსნისთვის დამსწრეების სახელით მადლობა მოახსენა. კანცლერმა წასვლამდე კიდევ ერთხელ ჩამოუარა ყველას. მას მიუ-

ლოცეს, თავაზიანად გამოემშვიდობნენ. ბებერ მრენველებს თითქოს გულიდან ლოდი ჩამოვარდათ. კანცლერის ნასვლის შემდეგ ლაპარაკი გერინგმა განაგრძო, რამდენიმე იდეა ენერგიულად გაიმეორა და ისევ ახსენა 5 მარტის არჩევნები – ჩიხური მდგომარეობიდან თავის დაღწევის უნიკალური საშუალება. მაგრამ კამპანიისათვის ფული იყო საჭირო; ნაცისტურ პარტიას გროში არ უჭყყოდა, არჩევნები კი კარს იყო მომდგარი. ამ დროს ჰიალმარ შახტი წამოდგა, დამსწრეებს გაუღიმა და დაიძახა: „აბა, ბატონებო, სალაროსთან!“

ამ ოდნავ როყიო შეძახილს ბატონები არ გაუოცებია: ქრთამი და მოსყიდვა მათთვის ჩვეული რამ იყო. კორუფცია დიდი სანარმოების წარმომადგენლობითი ხარჯების განუყოფელი ნაწილია და სხვადასხვა სახელი ჰქვია: ლობირება, ძღვენი, პარტიების დაფინანსება. სტუმრების უმრავლესობამ მაშინვე ჩარიცხა რამდენიმე ასეული ათასი მარკა, გუსტავ კრუპმა მილიონი გაიღო, გეორგ ფონ შნიცლერმა – ოთხასი ათასი; ასე შეგროვდა გვარიანი თანხა. 1933 წლის 20 თებერვლის ეს კრება, რომელიც კომპანიების ისტორიაში უნიკალურად შეიძლება მოგვეჩვენოს და ნაცისტებთან გაუგონარ კომპრომისად ჩავთვალოთ, კრუპების, ოპელებისა და სიმენსებისათვის საქმიანი ცხოვრების ერთი უბრალო ეპიზოდი და სახსრების შეგროვების ბანალური მოვლენაა. რეჟიმზე მეტხანს ყველა იარსებებს და საკუთარი საქმიანობის პროპორციულად კიდევ მრავალ პარტიას დააფინანსებს.

20 თებერვლის კრების არსის უკეთ გასაგებად ამ ხალხს ნამდვილი სახელებით უნდა მივმართოთ. რაიხსტაგის თავმჯდომარის სასახლეში 1933 წლის 20 თებერვლის ნაშუადღევს ისინი გიუნტერ კვანდტი, ვილჰელმ ფონ ოპელი, გუსტავ კრუპი თუ აუგუსტ ფონ ფინკი აღარ არიან; მათი სხვა ვინაობა უნდა დავსახელოთ. მაგალითად, გიუნტერ კვანდტი კრიპტონიმია, საპატიო მაგიდასთან მოკალათებული, უღვაშებში მოფრუტუნე ძიაკაცის მიღმა სულ სხვა რამ იმალება. მის უკან, დიახ, სწორედ მის უკან დგას იმპოზანტური სილუეტი, მფარველი ჩრდილი, ქვის ქანდაკებასავით ცივი და

შეუვალნი. დიახ, კვანდტის უკან მთელი მტაცებლური და ანონიმური სიმძლავრით დგას და სახეზე საკუთარ კანზე უკეთ ეკვრის ეს ნილაბი: „Accumulatoren-Fabrik AG“, მომავალი „Varta“, რომელსაც კარგად ვიცნობთ. იურიდიულ პირებს ისევე აქვთ ავატარები, როგორც ძველი ღვთაებები იღებდნენ სხვადასხვა ფორმას და დროთა განმავლობაში სხვა ღმერთების ფუნქციებსაც ითავსებდნენ.

ასეთი გახლავთ კვანდტის ჭეშმარიტი სახელი, დემიურგის სახელი. თავად გიუნტერი – ჩემი და თქვენი არ იყოს – ხორცისა და ძვლების პატარა გროვია. შემდეგ მისი ვაჟები და მათი ვაჟები დასხდებიან ტახტზე. ხორცისა და ძვლების პატარა გროვა მინაში რომ გაიხრწნება, ტახტი მაინც დარჩება. ასე რომ, ამ ოცდაოთხს არც შნიცლერი ჰქვია, არც ვიცლებენი, არც შმიტი, არც ფინკი, არც როსტერგი, არც ჰოიბელი, როგორც ამას საჯარო რეესტრი გვამცნობს. მათი სახელებია „BASF“, „Bayer“, „Agfa“, „Opel“, „IG Farben“, „Siemens“, „Allianz“, „Telefunken“. ასე ვიცნობთ მათ, თანაც ძალიან კარგად. აქ არიან, ჩვენთან არიან, ჩვენ შორის იმყოფებიან. ისინი არიან ჩვენი ავტომობილები, ჩვენი სარეცხი მანქანები, ჩვენი ჰიგიენური საშუალებები, ჩვენი რადიო-მაღვიძარები, ჩვენი სახლის დაზღვევები, ჩვენი საათის ელემენტები. ისინი ყველგან არიან, ნივთების ფორმა აქვთ შექნილი. ჩვენს ყოველდღიურობას ისინი ქმნიან. გვივლიან, გვაცმევენ, გვინათებენ, მსოფლიოს გზებზე გვამოგზაურებენ, გვინანავენ. 20 თებერვალს რაიხსტაგის თავმჯდომარის სასახლეში მყოფი ოცდაოთხი ძიაკაცი მხოლოდ მათი ნდობით აღჭურვილი პირი და დიდი ინდუსტრიის სამღვდელოება: ისინი პტაჰის ქურუმები არიან. ამიტომაც არიან ასეთი უგრძნობელები, როგორც ოცდაოთხი გამომთვლელი მანქანა ჯოჯოხეთის კარიბჭესთან.

თავაზიანოზის პიზიტი

უმოქმედოები და შიშნეულები ავბედითმა მიდრეკილებამ მტრის ხელში ჩაგვყარა. მას შემდეგ ისტორიის წიგნებში გამუდმებით იხსენიება შემზარავი მომენტი, როდესაც ელვისებური მოქმედება და გონება თანამზრახველები აღმოჩნდნენ. რეჟიმმა მრენველობისა და ბანკების მაღალი სამღვდელოება რომ მოაქცია, ხოლო მონინალმდეგეები დაადუმა, მის სერიოზულ მეტოქეებად უცხოური სახელმწიფოებილა დარჩნენ. საფრანგეთისა და ინგლისის ტონი თანდათან გამკაცრდა, ძალის დემონსტრირება და კეთილი სიტყვები ერთმანეთს ენაცვლებოდა. 1937 წლის ნოემბერში, განწყობის მორიგი ცვლილებისას, როცა ზაარლანდის ანექსია, რაინის მხარის რემილიტარიზაცია და ლეგიონ „კონდორის“ მიერ გერნიკის დაბომბვა მხოლოდ ფორმალურად გაპროტესტდა, ჰალიფაქსი, ლორდთა პალატის ლიდერი, პირადი ვიზიტით ჩაბრძანდა გერმანიაში ჰერმან გერინგის – საჰაერო ძალების მინისტრის, ლუფტვაფეს მთავარსარდლის, რაინის ტყეებისა და ნადირობის მინისტრის, აწ უკვე სულამომხდარი რაინსტაგის თავმჯდომარისა და გესტაპოს შემქმნელის – მინვევით. ჩამონათვალი გრძელი იყო, მაგრამ ჰა-